



MES 1 21 0001272470



26/11/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 12 ნოემბერს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/89878147007?pwd=VjdvVU1ualFGKzVlZDjiLzBOZlYxdz09>

Meeting ID: 898 7814 7007

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, საბჭოს მდივანი;

**ნატო მეტურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობავა**- სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)  
წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

#### **იურიდიული პირების წარმომადგენლები:**

##### **სსიპ - კოლეჯი „იბერია“:**

ირაკლი ავალიანი - დირექტორი,

დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,

ბერიკა უშვერიძე - მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი,

დავით დათუაშვილი - შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი,

რომანი ბელთაძე - პროგრამის ხელმძღვანელი,

ნინო დარასელია - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

##### **პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრი“:**

დირექტორი - სილოვან ჩინჩალაძე,

მევლად კაპანაძე - მასწავლებელი,

პარტნიორი ვეტერინალური კლინიკა „აიბო+“დან:

ნუგზარ ინანეიშვილი - დირექტორი,

ლელა ადეიშვილი - მასწავლებელი.

#### **პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

მზია ბერუაშვილი,

ირმა არსენაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 13:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ – „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ /01216/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრისთვის - „ვეტერინარი ტექნიკოსი“ /01212/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იყო.

**1. სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ – „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ /01216/პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია წარადგინა ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 21 სექტემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამაზე - „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ უფლების მოპოვების შესახებ. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის №1095660 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაცვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა შეისწავლა პროფესიული მომზადების პროგრამის „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2021 წლის 25 ოქტომბერს დისტანციურად განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. შეხვედრას დაესწრნენ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და სსიპ კოლეჯ „იბერიას“ წარმომადგენლები. პროგრამის შესახებ ინფორმაცია და მისი განხორციელებისთვის სხვა საჭირო დოკუმენტების შესახებ დამატებითი ცნობები ექსპერტმა და ცენტრის წარმომადგენელმა კითხვა-პასუხის რეჟიმში დააზუსტეს. გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი. კოლეჯში განთავსებულია პროგრამის როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი გარემო.

ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის შესახებ, პროგრამა არის პროფესიული მომზადების პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა 15 კვირა, სწავლების ენა -ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა -10. პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. N112.

კოლეჯს წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამის საჭიროების დასაბუთება და აქტუალობა შრომის ბაზართან. მცენარეთა დაცვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი პრობლემაა. იგი დაკავშირებულია მავნე ორგანიზმებისაგან გამოწვეულ ზარალთან: პროდუქციის დანაკარგებთან, ხარისხის გაუარესებასთან, ადამიანის საკვებით უზრუნველყოფის შეფერხებასა და მის ჯანმრთელობაზე ზეგავლენასთან. ამ პრობლემების დაძლევის თანამედროვე, საუკეთესო გზა დაცვის მეთოდების ინტეგრირებაა. დღესდღეობით საქართველოში მცენარეთა დაცვის კვალიფიციური კადრის ნაკლებობაა (თითქმის აღარ მზადდება ამ კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები უმაღლეს სასწავლებლებში, ნაკლებად მზადდება შესაბამისი პროფესიული კადრი კოლეჯებშიც), შრომის ბაზარზე მოთხოვნა კი საკმაოდ დიდია. ამდენად, „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის“ მომზადების პროგრამის წარმოდგენა საკმაოდ აქტუალურია. ამ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება კოლეჯს მიღებული აქვს მტკიცებულებებზე დაყრდნობით და სათანადოდაა დადასტურებული. კოლეჯს ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა. გამოკითხულია სოფლის მეურნეობის პროფილის მქონე, მცენარეთა დაცვასთან და დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული 10 ორგანიზაცია (9 ფერმერთა მომსახურების ცენტრი და 1 - ქუთაისის ბოტანიკური ბაღი) იმერეთის რეგიონში. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს შრომის ბაზარზე მცენარეთა დაცვის მიმართულებით კვალიფიციური კადრის მოთხოვნას და ცხადჰყოფს, რომ შემოთავაზებული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანი იქნება ისეთი პრობლემის გადასაჭრელად, როგორცაა მცენარეთა დაცვის საშუალებების სარეალიზაციო და საკონსულტაციო კომპანიებისთვის პროფესიული კადრის ნაკლებობა. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებაში რეგიონის ფერმერთა მომსახურების ცენტრების სახით კოლეჯს წარმოდგენილი აქვს დამსაქმებელთა ფართო სპექტრი, სადაც შესაძლებელია კურსდამთავრებულთა დასაქმება.

კომპანიების გამოკითხვასთან ერთად შრომის ბაზრის კვლევისას კოლეჯს გამოკითხული ჰყავს აგრარული მიმართულებით მომუშავე ინდ. მეწარმეები, ფერმერები, სტუდენტები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით მათი უმრავლესობა ემხრობა და მიესალმება ამ პროგრამის განხორციელებას. პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და მისი სახელწოდება, მიზანი, შინაარსი და შედეგები ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან. არ იმეორებს იმ პროფესიული პროგრამის და მოდულების დასახელებას, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა. პროგრამის შედეგების დადასტურების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის შესაბამისი ინტეგრირებული მეთოდების შერჩევას და კომპლექსური ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებას, რაც წარმოადგენს სწორედ მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის მიზანს. პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისადმი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის“ მომზადების პროგრამის დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი (საშუალო) განათლება, ასაკი - არანაკლებ 18 წელი, პროგრამა მოიცავს 15 კვირას და 215 საათს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა სრული ზოგადი განათლების სახით უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს უკვე აქვთ სათანადო ცოდნა და უნარები ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის“ პროგრამის წარმატებით გავლას და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე წინაპირობას წარმოადგენს ასაკი - არანაკლებ 18 წელი, რაც სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული რეგულაციები („ტექნიკური რეგლამენტი პესტიციდების და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების,

რეალიზაციისა და გამოყენების წესების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილება N 451, 2013 წლის 31 დეკემბერი) ზღუდავს მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებთან - პესტიციდებთან - 18 წლამდე ასაკის პირთა დაშვებას.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის პროცედურები გაწერილი აქვს კოლეჯს და წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე მითითებულია პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის წესი. ჩარიცხვა ხდება - გასაუბრების გზით. პროგრამიდან ნათლად ჩანს, თუ რა კონკრეტულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შეიძენს მსმენელი, როგორ გააცნობიერებს მიღებულ ცოდნას და როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმიანობას რეალურ სამუშაო გარემოში (ფერმერული მეურნეობები, ფერმერთა მომსახურების ცენტრები, მცენარეთა დაცვის მაღაზიები). დაკისრებული სამუშაოების უმეტესობის შესრულებას კურსდამთავრებული შეძლებს სრულიად დამოუკიდებლად, თუმცა მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობას ის განახორციელებს მხოლოდ ვიზუალური დაკვირვებით სიმპტომებისა და დაზიანების ფორმების მიხედვით, ხოლო უფრო ღრმა კვლევები და ზუსტი დიაგნოსტიკა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებისა და შესაბამისი ლაბორატორიების კომპეტენციას და ის ვერ განახორციელებს.

თემატიკები ერთმანეთის თანმიმდევრულია და მიიღწევა შემდეგი შედეგები:

- მცენარეთა ძირითადი ორგანოების და მათი ბიოლოგიური თავისებურებების დახასიათება;
- მცენარეთა მავნე ორგანიზმების ჯგუფების ამოცნობა;
- მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა -გამოყენება;
- მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო და ეროვნული რეგლამენტების გაცნობიერება;
- ხეხილოვანი კულტურების ინტეგრირებული დაცვა;
- მინდვრის კულტურების ინტეგრირებული დაცვა;
- ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ინტეგრირებული დაცვა;
- ვაზის ინტეგრირებული დაცვა;
- მცენარეთა დაცვის ღონისძიებების განხორციელება ბიომეურნეობაში;

პროგრამის შექმნის დროს გათვალისწინებულია მსმენელთა გარკვეული ინდივიდუალური საჭიროებები და ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია. საჭიროების შემთხვევაში პროგრამა იძლევა 1-5 შედეგის მისაღწევად გათვალისწინებული თემატიკის ონლაინ სწავლების დაშვებას, რაც გარკვეულწილად შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ თეორიული მეცადინეობების შემთხვევაში. რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტებს, საჭიროა, ისინი განხორციელდეს მხოლოდ რეალურ გარემოში - კოლეჯის შესაბამის ლაბორატორიაში ან პრაქტიკის ობიექტზე.

პროგრამის თემატიკა საკმაოდ ვრცელია, ამიტომ აუცილებლად საჭიროებს კვირათა იმ რაოდენობას, რაც მითითებულია პროგრამაში - 15 კვირა. კვირეული დატვირთვა შეადგენს 15 საათს (გამონაკლისი მე-15 კვირა - 5 საათი). მე-15 კვირა მთლიანად ეთმობა განმსაზღვრელ შეფასებას. კვირეული დატვირთვა და საათების სრული რაოდენობა 215 საათი საკმარისია აღნიშნული პროგრამის დასაძლევად. რამდენადაც მომზადების პროგრამა შესაძლებლობას უნდა აძლევდეს მსმენელს, არ მოწყდეს სამუშაო გარემოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სასურველი იქნებოდა, პროგრამაში მითითებული ყოფილიყო, რომ მსმენელთა ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე სწავლება შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც საღამოს საათებში, ისე შაბათ-კვირის დღეებში.

სასწავლო პროცესი სწორადაა დაგეგმილი და ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

პროგრამის განმახორციელებელი პირი სწავლების პროცესს წარმართავს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა (ინტერაქტიული ლექცია, დემონსტრირება, დისკუსია,

პრაქტიკული მეცადინეობა, ინსტრუქტაჟი, როლური თამაში) და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით როგორც კოლეჯის ლაბორატორიაში, ისე პრაქტიკის ობიექტზე, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი/ხელშეკრულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ 4 მეწარმე სუბიექტთან, რაც მაქსიმალურად დაეხმარება მსმენელებს პრაქტიკული უნარების ათვისებაში. მემორანდუმებში განსაზღვრულია მხარეთა (კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტების) უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები, მატერიალური რესურსები, მსმენელთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, ასევე მისაღებ მსმენელთა რაოდენობა.

პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. კოლეჯის წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია, თუ როგორ მოხდება მსმენელების შეფასება და ჩანს, რომ შეფასება კომპეტენციების დადასტურებაზეა დაფუძნებული. პროფესიული მომზადების პროგრამის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით. განმსაზღვრელი შეფასება ხდება გამოცდით. მსმენელის შეფასების სისტემაში მითითებული მეთოდები შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატურია. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასება ვალიდურია, სანდო და სამართლიანი და საშუალებას იძლევა, დადგინდეს, მიაღწია თუ არა მსმენელმა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. მსმენელი ინფორმირებულია პროგრამის ფარგლებში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების/წესის შესახებ.

განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამისობაშია მათ ფუნქციებთან, და მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამის განმახორციელებელ სამივე პირს აქვს უმაღლესი განათლება სოფლის მეურნეობის სფეროში, ხოლო 2 მათგანი ამავე დროს აკადემიური დოქტორია, ასევე აქვთ პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივი და მრავალმხრივი გამოცდილება, როგორც ზოგადად სოფლის მეურნეობაში, ისე უშუალოდ მცენარეთა დაცვის სფეროში და დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით. ასევე, მათ კვალიფიკაციას ადასტურებს ის სამუშაო გამოცდილება, რომელიც მათ CV-ებშია წარმოდგენილი და მცენარეთა დაცვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობის დროს აქვთ მიღებული. შრომითი ხელშეკრულებები შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა პროგრამის სპეციფიკიდან და მოცულობიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა კიდევ ერთი პერსონალის დამატება, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა სწავლების ხარისხსა და შედეგების სრულად მიღწევას.

კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი, მოძრავი ქონება და ინვენტარი) ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციას და სრულად შეესაბამება პროგრამის განხორციელების მოთხოვნებს. ასევე პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კოლეჯს ცალკე აქვს გამოყოფილი მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის მსმენელებისათვის სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია და C გარემო სასწავლო ლაბორატორიის სახით. დისტანციური შემოწმების დროს შესაძლებელი იყო დათვალიერება იმ რესურსისა, რაც არის დაწესებულებაში. ყველა აპარატურა მუშა მდგომარეობაშია. მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება მსმენელთა რაოდენობას, გამონაკლისია მხოლოდ პეტრის თასები, რომლებიც საჭიროებს დამატებას.

დისტანციურ რეჟიმში დათვალიერებული იქნა პრაქტიკის ობიექტებიც, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ შესაბამის სტანდარტებს.

პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი სრულად უზრუნველყოფს საჭიროებების დაკმაყოფილებას და წარმოდგენილია ელექტრონული რესურსების სახით. ძირითადი წამყვანი ლიტერატურა ქართულენოვანია და მათი ელექტრონული ვერსიის მოძიება მსმენელს შეუძლია კოლეჯის ბიბლიოთეკაში (მათი უმეტესობა მიეკუთვნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ საგანმანათლებლო რესურსებს). წარმოდგენილი რესურსები სრულად ფარავს იმ თემატიკას, რაც მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის პროგრამითაა წარმოდგენილი და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯს შექმნილი აქვს უსაფრთხო სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის შესაბამისი გარემო; კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ; კოლეჯს აქვს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ; გააჩნია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარი და სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. სასწავლო შენობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

უსაფრთხოების ნორმები გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტებზეც, რაც დადასტურდა ონლაინ ვიზიტის დროს.

იურიდიული პირი საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც აგებულია დემინგის ციკლის მიხედვით - დაგეგმე/განახორციელე/შეაფასე/განავითარე. ამ დოკუმენტის მიხედვით შემოწმდება სასწავლო გარემო, პროგრამის განმახორციელებელი პირი, მსმენელის ჩართულობა სასწავლო პროცესში, ამ მიზნით შემუშავებულია შემდეგი კითხვარები: განმახორციელებელი პირის და მსმენელის კითხვარი, ასევე დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს **ხარვეზები** არ გამოვლენილა.

გაიცა ორი **რეკომენდაცია**:

**ქვესტანდარტი 1.2** - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. ასევე პროგრამის მიზანი, შინაარსი და შედეგები ლოგიკურ ბმაშია, თუმცა, პროგრამის აღწერაში, სადაც კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლო ობიექტებია მითითებული, ერთ-ერთი მათგანის დასახელებისას კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია არასწორადაა აღნიშნული. კერძოდ, კურსდამთავრებულები თავისუფლად შეძლებენ, იმუშაონ ფერმერთა მომსახურების ცენტრებში, მცენარეთა დაცვის მაღაზიებში და ფერმერულ მეურნეობებში კონსულტანტებად, აგრეთვე პროფესიონალურ დონეზე გაუძღვნენ თავიანთ კერძო მეურნეობებს, თუმცა ვერ დასაქმდებიან სახელმწიფო უწყებებში როგორც მცენარეთა დაცვის სპეციალისტები, რადგან „მცენარეთა დაცვის სპეციალისტის“ კვალიფიკაციის მქონე კადრის მომზადება უმაღლესი განათლების პრეროგატივაა. მცენარეთა დაცვის მიმართულებით 15 კვირის განმავლობაში მომზადებული კადრი, მართალია, იქნება საკმაოდ კვალიფიციური, მაგრამ მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში ის ვერ ჩამოყალიბდება მცენარეთა დაცვის სპეციალისტად. ტექნიკური ხარვეზია პროგრამის აღწერაში, რადგან ეს კვალიფიკაცია სხვაგან არსადაა აღნიშნული, მაგრამ მსმენელის შეცდომაში შეყვანა, რომ არ მოხდეს, საჭიროა, ამოღებული იქნას ფრაზა „ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას სახელმწიფო უწყებებში მცენარეთა დაცვის სპეციალისტებად“.

**ქვესტანდარტი 1.7** - მართალია, პროგრამა ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში ონლაინ სწავლებას 1-5 შედეგის ფარგლებში, მაგრამ, საჭიროა, დაკონკრეტდეს, რომ ეს ეხება მხოლოდ თეორიულ მეცადინეობებს, პრაქტიკული კომპონენტი ყველა შედეგთან მიმართებით უნდა განხორციელდეს კოლეჯის შესაბამის ლაბორატორიაში ან პრაქტიკის ობიექტებზე. ხოლო

მსმენელთა ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სადამოს საათებში და უქმეებზე.

ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა ფოტო-მასალა იმ აუდიტორიების, სადაც უნდა განხორციელდეს პროგრამა და ასევე ლაბორატორიის, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო შესაბამისი მატერიალური რესურსით. ასევე პრაქტიკის ობიექტები, სადაც უნდა განხორციელდეს პროგრამის სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს კარგად, პროფესიონალურად მომზადებული დასკვნისთვის და საბჭოს წევრებს მიმართა შეკითხვები თუ ჰქონდათ.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტმა პირველად მიიღო მონაწილეობა მომზადება/ გადამზადების პროგრამების შეფასებაში და მადლობა გადაუხადა საკმაოდ კვალიფიციური, დეტალური და სიღრმისეული დასკვნისთვის და პრეზენტაციისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ – „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ /01216/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ კოლეჯ „იბერია“ (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა /01216/ **(დანართი 1)**.

**2. ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრისთვის - „ვეტერინარი ტექნიკოსი“ /01212/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.



დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ირმა არსენაშვილმა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის №1095661 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ირმა არსენაშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ვეტერინარი ტექნიკოსი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი დისტანციურად და 2021 წლის 21 ოქტომბერს განახორციელეს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის შესახებ: პროგრამის სახელწოდებაა - „ვეტერინარი ტექნიკოსი“, არის პროფესიული მომზადების პროგრამა, განხორციელების ადგილი: ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ.N11ა.

დაწესებულებამ ქვესტანდარტის შესაბამისად წარმოადგინა დოკუმენტი: „პროგრამის საჭიროების დასაბუთება“. დოკუმენტში მოყვანილი არგუმენტები დამაჯერებელია, დასაბუთებულია ამ ცოდნით აღჭურვილი ადამიანების დასაქმების პერსპექტივა. არგუმენტები, რომლებიც მოყვანილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ნარატივში დამყარებულია მათ გამოცდილებაზე. ორგანიზაციის დირექტორმა ვიზიტის დროს ისაუბრა ანალოგიური შინაარსის პროგრამაზე, რომელიც ორგანიზაციამ განახორციელა არაფორმალური განათლების ფარგლებში, წარმოადგინა ჩატარებული ტრენინგების ფოტო მტკიცებულებები. აღნიშნა, რომ დაახლოებით 60 კურსდამთავრებული ჰყავთ, რომელთა თითქმის 90% დასაქმებულია და მიღებულ ცოდნას იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში. პროგრამის საჭიროების დასაბუთებლად წარმოადგინა სხვადასხვა რეგიონის სოფლებიდან, მოსახლეობის, ძირითადად კერძო პირების, ფერმერების წერილობითი თხოვნები, რომელთა თანახმად ვეტერინარი ტექნიკოსის პროგრამაზე მომზადებას ან გადამზადებას ითხოვენ.

ორგანიზაცია თანამშრომლობს საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან, არის სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ HACCP საკონსულტაციო მოსახურებაზე ნებადართული კომპანია, ნერგავს ფერმერულ მეურნეობებში, სტანდარტის შესაბამისად, სურსათის უვნებლობის სისტემის HACCP – სტანდარტს, რომელიც განხორციელებული აქვს დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტებით და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პროფესიული განვითარების პერსპექტივებს შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა სტანდარტების შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამაში ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია, **ხარვეზები** არ გამოვლენილა.

დასკვნაში დაფიქსირებულია ერთი რეკომენდაცია:

**1.9 ქვესტანდარტი:** რეკომენდირებულია, ხელშეკრულებების / მემორანდუმების გაფორმება მეცხოველეობის ფერმერთან და სასაკლაოებთან, რათა მსმენელმა შეძლოს სხვადასხვა სპეციფიკის ობიექტებზე შესაბამისი პრაქტიკის გავლა. ასევე, რეკომენდირებულია ხელშეკრულებაში/ მემორანდუმში „პროფესიული სტუდენტის“ ნაცვლად მიეთითოს „მსმენელი“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდეგ, რეკომენდაციის საფუძველზე დაამატეს ახალი პარტნიორი ორგანიზაცია და ვიზიტის შემდეგ გამოგზავნა დაწესებულებამ გაფორმებული დოკუმენტი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

პროგრამის თეორიული სამუშაოების განხორციელებისთვის ორგანიზაციას გააჩნია შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობები, რომელთა საშუალებითაც მსმენელებს შეუძლიათ სრულფასოვნად აითვისონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები. მატერიალური რესურსების ფლობა დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი აქტებით, მატერიალური რესურსების ორგანიზაციისთვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე. კონკრეტულად ამ პროგრამისთვის შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორია, სადაც განთავსებულია ერთდროულად 12 მსმენელისთვის შესაბამისი სამუშაო მაგიდა და სკამი, ასევე, ციფრული სადემონსტრაციო საშუალებები.

პარტნიორი ორგანიზაციების დათვალიერება ვერ მოხერხდა, თუმცა ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციის (შპს მმ ჯგუფი) წარმომადგენელთან გასაუბრება შედგა და მოგვიანებით წარმოდგენილი იქნა პრაქტიკის ობიექტების ფოტოსურათები, აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია არაფორმალური განათლების ფარგლებში თანამშრომლობდა აღნიშნულ პარტნიორებთან ანალოგიური შინაარსის პროგრამის განხორციელებისთვის და წარმოდგენილ იქნა პრაქტიკის ამსახველი ფოტოები.

ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა ფოტო მასალა, A და B გარემოსი, მან აღნიშნა, რომ ორგანიზაციის დირექტორმა ვიზიტის დროს ისაუბრა და აღნიშნა, რომ ანალოგიური შინაარსის პროგრამაზე ორგანიზაცია ახორციელებდა პროფესიული განათლების სფეროში ტრენინგებს და მათ ჰყავთ 60-მდე კურსდამთავრებული, რომელთა დიდი ნაწილი დასაქმებულია და ორგანიზაციას წარმოდგენილი აქვთ სტენდით, რომლის ფოტოც წარმოადგინა საბჭოზე ექსპერტმა. სტენდზე მთელი ამ ტრენინგ კურსების პროცესი ჩანს, თუ როგორ ტარდება, როგორ მუშაობდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს კარგი მაგალითია როგორ მიმდინარეობს ყველა სასწავლო პროცესი და კარგი იქნება სხვებმაც გამოიყენოს ეს პრაქტიკა.

შემდეგ ექსპერტმა შენობის და აღჭურვილობის ფოტოები წარმოადგინა.

რაც შეეხება ორგანიზაციას, ჰყავთ პარტნიორი ორგანიზაციები, სადაც პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება:

1. ვეტერინარული კლინიკა - ი/მ „ნუგზარ ინანიშვილთან“ არსებული ვეტერინარული კლინიკა „აიბო+“;
2. ვეტერინარული კლინიკა - შპს მმ ჯგუფი;
3. ცხოველთა თავშესაფარი - ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები“;
4. მეცხოველეობის, მეფრინველეობის ფერმა, ფრინველთა სასაკლაო - ი/მ „რამაზი ზაქარაშვილი“;
5. ცხოველთა სასაკლაო - შპს „ქუთათური“.

ექსპერტმა დაამატა, რომ ერთ-ერთი პრაქტიკის ობიექტი ფუნქციონირებს თერჯოლაში. ამდენად, დაინტერესდნენ როგორ შეძლებდნენ, მსმენელების ტრანსპორტირებას. აღმოჩნდა, ცენტრს აქვს ტრანსპორტირების გამოცდილება და მორგებული აქვთ ყველანაირად მსმენელებზე.

ექსპერტმა წარმოადგინა ფოტოები პროცესების და შედეგების ამსახველი, რომელი შედეგი სად მიიღწევა და როგორ, მან ასევე აღნიშნა, რომ შენობის მეორე სართულზე განთავსებული აქვთ ჰოსტელი, სადაც შეუძლიათ რაიონებიდან ჩამოსულების განთავსება. აქვთ დასვენებისთვის და სწავლის უსაფრთხო გარემო.

პროგრამას ოთხი განმახორციელებელი ჰყავს, რომელთა ცოდნა, კვალიფიკაცია დადასტურდა წარმოდგენილი საბუთებით და გასაუბრებითაც, სრულად აკმაყოფილებს და შეესაბამება პროგრამის განმახორციელებელი პირის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ მესხიშვილმა კომენტარი გააკეთა, მან თქვა, რომ ზოგადად იმერეთის რეგიონში ხორციელდება სოფლის მეურნეობის პროგრამები, თუმცა ძალიან ჭირს კერძო სექტორთან თანამშრომლობა. იმერეთში არ არის ბევრი ფერმერული კომპანია, რომ ერთობლივი პროგრამები გაკეთდეს. აღნიშნულ ცენტრს რადგან ასე კარგად აქვს პროგრამა გაკეთებული, ხარვეზი არ გამოვლენილა, კარგი იქნებოდა, რომ ფერმერობის პროგრამაში ან სხვა ტიპის პროგრამებში მათ ორგანიზაციას რაღაც შუამავალი როლი ეთამაშა, რომ გრძელვადიანი პროგრამები განხორციელდეს დუალური მიდგომით, რადგან მნიშვნელოვანია ასეთი ორგანიზაციების ბევრის არსებობა, ერთმანეთის გასაძლიერებლად, რათა სოფლის მეურნეობის მიმართულებით უფრო მეტად გაძლიერდეს იმერეთის რეგიონი. მომავალში ისურვებდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მათსა და სსიპ კოლეჯ იბერიას შორის, რადგან მათ აქვთ ფილიალები და მართლაც საჭიროებენ კერძო სექტორის მეტად ჩართულობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს. აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მნიშვნელოვანია და ისე იყო მოცემული, რომ თითქოს სასიამოვნოა მისი შესრულება. ამიტომ ეცადნენ და რაც შესასწორებელი იყო, შეასწორეს. რაც შეეხება ორგანიზაციის საქმიანობას, ურთიერთობა აქვთ საქართველოში ახალ შემოსულ მესაქონლეობასთან დაკავშირებით ამერიკის სოფლის დეპარტამენტის პროექტთან, სადაც გაიმარჯვეს, 5 თვე იმუშავეს და 303 ფერმერის მომზადება განახორციელეს. მან აღნიშნა, რომ კმაყოფილია ასეთი დამოკიდებულების საბჭოს მხრიდანაც და ეცდებიან გაამართლონ იმედები და წარმატებულად გააგრძელონ მომავალშიც თავიანთი საქმიანობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრისთვის - „ვეტერინარი ტექნიკოსი“ /01212/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრს (ს/კ: 212840372) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვეტერინარი ტექნიკოსი /01212/ (დანართი2).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ორივე საკითხის განხილვის შემდგომ, 13:55 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება          | პროგრამის სახე       | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|-------------------------------|----------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|---------------------------------|
| 01216          | მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა | პროფესიული მომზადება | მეოთხე                               | 15                              | ქართული       | 10                          | ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №112  |

დანართი 2

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე       | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|----------------------|----------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|---------------------------------|
| 01212          | ვეტერინარი ტექნიკოსი | პროფესიული მომზადება | მეოთხე                               | 14                              | ქართული       | 12                          | ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №11ა      |